განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2024-2025 სასწავლო წლიდან ზოგადი განათლების საფეხურზე დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმის პილოტირება. კერძოდ, პროფესიული პროგრამების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინტეგრირების მიზნით შეირჩა 20 საპილოტე სკოლა თბილისისა და სხვა რეგიონების მასშტაბით. აღნიშნული ინიციატივა დამამთავრებელი კლასის (XI-XII კლასების) მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, სკოლაშივე, სრული ზოგადი განათლების პარალელურად დაეუფლონ პროფესიას. გასათვალისწინებელია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაძლევის შემდგომ გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. მიზანშეწონილია, რომ საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად გაიცემოდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება შედის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტსა და 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ^{3}“ ქვეპუნქტში.

,,უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ საქართველოს კანონის 47^{2} მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა შეუძლია ნებისმიერ ბაკალავრს, მათ შორის მათაც, ვისაც დიპლომით არ უდასტურდებათ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის, საგნობრივი ჯგუფის სპეციალობა. აღნიშნულის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და იხარჯება სახელმწიფო რესურსი, თუმცა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არ არსებობს მკაფიო ჩანაწერი, რომ ამ პირებს მასწავლებლად დასაქმების საშუალება მიეცემათ.

წარმოდგენილი ცვლილებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21^{3} მუხლის პირველ პუნქტს დაემატება „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მასწავლებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლება ექნება პირს, რომელსაც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული ექნება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას სავალდებულოა აპლიკანტის მიერ დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილება. კერძოდ, „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:

ა) საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

ზემოთ აღნიშნულიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ პირის მიერ მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მოპოვება უკვე ნიშნავს, რომ პირს ჩაბარებული აქვს შესაბამისი საგნის გამოცდა. ასევე, აქვს სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47^2 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე.

ცვლილებით „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „ვ" ქვეპუნქტი, რითაც იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით, მიეცემათ სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი ცვლილებები, ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ვაკანსიების შევსებას კვალიფიციური კადრებით და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, რომელიც გულისხმობს, საშუალო პროფესიული განათლების პროგრამაში ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას. აღნიშნული პროგრამების დანერგვის საფუძველი გახდა შესაბამისი ჩანაწერები „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტრო „ამტკიცებს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები", ხოლო ამავე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად „ამტკიცებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს". მოგეხსენებათ, რომ ინტეგრირებული პროგრამების დანერგვის პროცესი სწორედ შესაბამის კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში ხორციელდება. კერძოდ, 2019 წლის 19 ივლისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ" №48/ნ ბრძანება, ხოლო 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცდა „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" №170/ნ ბრძანება.

აღნიშნულის შესაბამისად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1^2 პუნქტი გვთავაზობს შემდეგ ჩანაწერს - „ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშსა და იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ამტკიცებს სამინისტრო“. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული უკვე დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“. თუმცა, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,$ვ^3$“ ქვეპუნქტში გვხდება ჩანაწერი, რომ სამინიტრო ამტკიცებს „იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების შეფასების ფორმას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, და პროგრამას“. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს და ამტკიცებს შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება“, ხოლო მე-3 პუნქტის შესაბამისად „საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უნდა მოიცავდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს“. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,$ვ^3$“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდეს ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერებთან და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებთან და ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით: „ამტკიცებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს“.

გარდა ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 4^1 პუნქტის თანახმად, დირექტორის არჩევა ან დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო „საჯარო სკოლის დირექტორის, დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის რეგისტრაციის წესის“ თანახმად, შესაბამისი სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორის და მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება ძალაშია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოადგილის უფლებამოსილება ვადამდე წყდება დირექტორის არჩევის და დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის მომენტიდან.

ვინაიდან, შესაძლებელია, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის არჩევის ან მინისტრის მიერ დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის თარიღი და მათი უფლებამოსილების მართვის სისტემაში რეგისტრაციის თარიღი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, წარმოდგენილი ცვლილებით დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტა განხორციელდება არჩეული დირექტორის ან მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის

შემსრულებლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან.

პროექტის შესაბამისად, კანონში, ასევე, ტექნიკურად სწორდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე შესაბამის სამინისტროთა დასახელებები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

2024-2025 სასწავლო წლიდან ზოგადი განათლების საფეხურზე დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმის პილოტირება. კერძოდ, პროფესიული პროგრამების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინტეგრირების მიზნით შეირჩა 20 საპილოტე სკოლა თბილისისა და სხვა რეგიონების მასშტაბით. აღნიშნული ინიციატივა დამამთავრებელი კლასის (XI-XII კლასების) მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, სკოლაშივე, სრული ზოგადი განათლების პარალელურად დაეუფლონ პროფესიას. გასათვალისწინებელია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაძლევის შემდგომ გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. მიზანშეწონილია, რომ საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად გაიცემოდეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლება მიეცეს პირს, რომელსაც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული ექნება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. ასევე, იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით, მიეცემათ სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ^3“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვიდეს ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერებთან და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებთან და ჩამოყალიბდეს შედეგი რედაქციით: „ამტკიცებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესსა და პირობებს“.

გარდა ზემოხსენებულისა, ვინაიდან, შესაძლებელია, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის არჩევის ან მინისტრის მიერ დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის თარიღი და მათი უფლებამოსილების მართვის სისტემაში რეგისტრაციის თარიღი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, წარმოდგენილი ცვლილებით აუცილებელია დაზუსტდეს, რომ დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტა განხორციელდება არჩეული დირექტორის ან მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან.

ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით სწორდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე შესაბამის სამინისტროთა დასახელებები.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღებით:

- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დიპლომთან ერთად გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი);
- შეიცვლება მასწავლებლის განათლებისადმი დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ:
  - ✓ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით მიეცემათ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა;
  - ✓ იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით მიეცემათ სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა;
- ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ^3“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერთან;
- დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა განხორციელდება არჩეული დირექტორის ან მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან;
- ტექნიკურად გასწორდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე შესაბამის სამინისტროთა დასახელებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად:

- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დიპლომთან ერთად გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი);
- შეიცვლება მასწავლებლის განათლებისადმი დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ:
  - ✓ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით მიეცემათ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა;
  - ✓ იმ პირებს, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და უდასტურდებათ მასწავლებლობის უფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიხედვით მიეცემათ სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების შესაძლებლობა;

- ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ³“ ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვა ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ჩანაწერთან;
- დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა განხორციელდება არჩეული დირექტორის ან მინისტრის მიერ დანიშნული დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციის მომენტიდან;
- ტექნიკურად გასწორდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე შესაბამის სამინისტროთა დასახელებები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მისი ამოქმედებისათვის დამატებითი პირობები ან ვადები არ არის საჭირო და მნიშვნელოვანია მისი დროული ამოქმედება. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილება ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ვაკანსიების შევსებას მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მქონე პირებით. შესაბამისად, ამ პირებს გაუჩნდებათ შემოსავალი, რაც თავის მხრივ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, დასაქმებული პირების მიერ მიღებული ანაზღაურებიდან გადახდილი საშემოსავლო გადასახადების სახით.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილება ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ვაკანსიების შევსებას კვალიფიციური კადრებით და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. აღნიშნულ ვაკანტურ პოზიციებზე გასაცემი ხელფასი საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს შესაბამისი წლის დასაწყისში, რაც ფინანსდება შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო სკოლებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

კანონის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული დიპლომის ადმინისტრირების ხარჯს გაწევს ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება. ხოლო, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ადმინისტრირების ხარჯი დაიფარება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

წარმოდგენილი ცვლილება ხელს უწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ვაკანსიების შევსებას კვალიფიციური კადრებით და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. კერძოდ, პროექტით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლება ექნება პირს, რომელსაც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მოპოვებული ექნება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

აღსანიშნავია, რომ კანონის დღეს მოქმედი რედაქციით მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას უზრუნველყოფდა მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებსაც ჰქონდათ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი ბაკალავრის/მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. აღნიშნული ცვლილებით, ახალი კადრების დასაქმება ასევე მოხდება კერძო სკოლებშიც, შესაბამისად წინამდებარე კანონპროექტი გავლენას იქონიებს კერძო სკოლების შესაბამის ბიუჯეტზეც.

ასევე, ცვლილება არ გამოიწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დამატებით ფინანსურ ხარჯს, ვინაიდან მათ მიერ განხორციელებული პროგრამების ბიუჯეტი, პროგრამაზე ჩარიცხული აპლიკანტების რაოდენობა წინასწარ არის დადგენილი, ხოლო კანონპროექტი აპლიკანტთა რაოდენობის ხელოვნურად ზრდას არ ითვალისწინებს.

დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნასა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციას შორის სხვაობის პერიოდით

გაუხანგრძლივდებათ დირექტორის მოადგილეებს უფლებამოსილება და მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;
კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.